პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 55 (18597) კვირა, 6 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა ქალებს

ძვირფასო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — მთელი პლანეტის მშრომელ ქალთა ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს!

ჩვენი ქვეყნის ქალებმა განვლეს ბრძოლისა და თავდადებული შრომის სახელოვანი გზა. ისინი იყვნენ რევოლუციონერთა ლეგენდარულ კოჰორტაში, რომლებიც ლენინის ხელმძღვანელობით საფუძველს უყრიდნენ ბოლშევიკურ პარტიას, მშრომელები მიიყვანეს დიდი ოქტომბრის გამარჯვებამდე. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე — მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდშიც და ომის განსაცდელის მრისხანე წლებშიც — ქალებმა დაამტკიცეს, რომ არიან კომუნიზმის იდეალებისათვის შეგნებული, აქტიური მებრძოლები.

8 მარტის დღესასწაული ჩვენში ქალის ღრმა პატივისცემის, სოციალისტურ საზოგადოებაში მისი თანასწორუფლებიანი მდგომარეობის სიმბოლო გახდა. ამ დღეს საშობლო საზეიმო ვითარებაში მიაგებს პატივს თავის ერთგულ შვილებს, დაუცხრომელ მშრომელ ქალებს, მგზნებარე პატრიოტებს. საბჭოეთი სამართლიანად ამაყობს თქვენი წარმატებებით და მიღწევებით ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის სხვადასხვა დარგში — ქარხნის საამქროებსა და ყანებში, სკოლებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, კვლევითს ლაბორატორიებსა და მოსახურების სფეროში. ყველგან იგრძნობა თქვენი მაძიებელი გონება, ოსტატთა მარჯვე ხელი, კეთილი გული. ქალთა დამსახურებამ კომუნისტურ მშენებლობაში, მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნაში, ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებაში, შვილების აღზრდაში საყოველთაო-სახალხო აღიარება პოვა.

პარტია განუხრელად ახორციელებს ლენინის ანდერძს სახელმწიფოს საქმეთა მართვაში ქალთა ყოველმხრივი ჩაბმის შესახებ. ეს არის სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებისა და გაღრმავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. ასი-ათასობით ქალი ეწევა დიდ, მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობას, აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოში — სასოფლო საბჭო იქნება ეს თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე, შუაგულ წელს ქალები გვიჩვენებენ მათთვის დამახასიათებელი შრომითი მოქმედების, ბალხის დოვლათისადმი აყირათიანი დამოკიდებულების, მაღალი დისციპლინის, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ნიმუშებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ახალი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა ქალების ინიციატივაზე, ენერგიაზე, შემოქმედებითს მეცადინეობაზე.

კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს დედისათვის. სოციალურ ღონისძიებათა ფართო სისტემის მიზანია ოჯახს, დედას, შვილებს ჰქონდეთ ყველა საჭირო პირობა. საპატიო და კეთილშობილურია დედის ყოველდღიური, დაუცხრომელი შრომა. დედის პიროვნება ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის მომავალ მოქალაქეთა იდეურ, ზნეობრივ, სულიერ თვისებებს. თქვენი შვილები აღზრდეთ პატიოსანნი, შეგნებულნი, შრომისმოყვარენი და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულნი!

ყველა დედის ბედნიერებაა მშვიდობიანი, მოწმენდილი ცა და ღიმილიანი, გაცისკროვნებული შვილების სახე. ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაიცვან მშვიდობა, კაცობრიობას თავიდან ააცილონ ბირთვული საფრთხე. ავტორიტეტულად გისმინს საბჭოთა ქალების ხმა, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, მთელი პლანეტის მშრომელ ქალებთან ერთად აქტიურად იღვწიან მშვიდობის შენარჩუნებისათვის. დაე, ბავშვებს ნურასოდეს ნუ განიცადოთ ომის საშინელებანი! დაე, მუდამ მშვიდად იყოს დედის გული მათი ბედისათვის!

ძვირფასო ქალებო!

გულითადი მადლობა სამშობლოს საკეთილდღეოდ პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომისათვის! სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, თქვენს ოჯახებს, თქვენს შვილებს ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, ახალ წარმატებებს შრომაში, სწავლასა და შემოქმედებაში!

დიდება საბჭოთა ქალებს!

მხურვალე სალამი მომძე სოციალისტური ქვეყნების ქალებს!

გაუმარჯოს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ყველა ქალს ერთიანობასა და შეკავშირებას!

დაე, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პასუხისმგებლობა აღმზრდელობითი მუშაობისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც განხილა საკითხი ამის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ". თათბირში მონაწილეობდნენ მთელი რიგი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მინისტრების მოადგილეები და სამმართველოთა უფროსები, რომლებიც საკადრო საკითხებს განაგებენ, სამინისტროებისა და უწყებების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები.

ინფორმაცია რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, მისი სრულყოფის ამოცანები კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების საქმეში გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ა. ი. პაგშენცევმა.

კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების საქმეში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ შეძენილი გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარეს მინისტრის მოადგილემ ე. თ. შეწირულმა და სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის, განყოფილების უფროსმა ნ. გ. ლეკიშვილმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ე. კ. შარტავა.

აღინიშნა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შეხახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ რესპუბლიკაში შეძენილია აღმზრდელობითი მუშაობისადმი კომპლექსური მიდგომის, ამ მიმართულებით სამინისტროებისა და უწყებების მეცადინეობის გააქტიურების საინტერესო გამოცდილება. ითქვა, რომ საჭიროა თითოეული დარგის, თითოეული სამინისტროსა და უწყების, თითოეული ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით ოპერატიულად განისაზღვროს „კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებათა სისტემა. აღინიშნა, რომ ამ საქმეში უნდა გამოვიჩინოთ მეტი დაინტერესება დაკონკრეტულობა, ამასთან უზრუნველყოთ ორგანიზაციული, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო საქმიანობის ერთიანობა.

თათბირის მონაწილეებს დაურიგეს საინფორმაციო-მეთოდიკური ბიულეტენი, რომელიც მოამზადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრმა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ერთად. მასში შეტანილი ზოგიერთი მასალა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ განკუთვნილია შესაბამისი სამსახურების მუშაკებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახვლედიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების გამგე ა. ნ. წიკლაური.

(საინფორმო).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საუბარი კრემლში

4 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი, რომელიც ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს განიხილეს საკითხები, თუ როგორ განავითარონ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა ორი ქვეყნის ხალხთა, აგრეთვე მთელი სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებას განმტკიცების ინტერესებისათვის.

აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მორიგებათა რეალიზაციას, რომლებიც მიღწეულია 1982 წლის მარტში სსრ კავშირში პოლონეთის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის დროს. ამასთან დაკავშირებით ჩაწი გაუსვეს, რომ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მრეწველობის დარგში საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს ორმხრივ ხელსაყრელი კოოპერაცია გრძელვადიან საფუძველზე.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას მთავარი ყურადღება დაეთმო ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის, დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ პრძოლის ამოცანებს.

საუბარმა გულითად ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

ერთიანობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში

4 მარტს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ოლშოვსკის შორის.

მინისტრებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც, უმთავრესად, ევროპის უშიშროებას ეხებოდა. მოლაპარაკებამ, რომელიც მეგობრულ, გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა, რომ ყველა განსახილველ საკითხში შეხედულებანი სრულად ემთხვევა ერთმანეთს.

* * *

ა. ა. გრომიკომ ს. ოლშოვსკის პატივსაცემად გამართა სიუზმე, რომელზეც მხარეებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

* * *

ამავე დღეს ს. ოლშოვსკი ვარშავას გაემგზავრა.

აეროდრომზე მის გასაცილებლად მივიდნენ ა. ა. გრომიკო და და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი)

კომუნიზმის აქტიური მშენებლები

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

მოსკოვში

5 მარტს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ ამხანაგებს ჰ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ნ. ა. ტიხონოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, მ. ვ. ზიმიანინს.

პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხეიარომთავრები, მრეწველობის მოწინავე მუშაკები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საბჭოთა ქალებისადმი, რომელიც სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. თ. დემენტიევამ წაიკითხა. ქვეყნის ქალების სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ქალების როლის მაღალი შეფასებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე დიდი ზრუნვისათვის, ქვეყნად მშვიდობის გამტკიცებისათვის.

სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ქალების ნამდვილი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, აღინიშნა თავის გამოსვლაში საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ა. პ. ბირიუკოვამ. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე განუხრელად, შემოქმედებითად ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს ქალების თანასწორუფლებიანობის შესახებ. მათი მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში როლის ამაღლებისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებულია სახელმწიფო პოლიტიკად, გარანტირებულია სოციალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო ღონისძიებათა სისტემით.

ასიათასობით ჩვენს თანამემამული ქალს ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ისინი მეთაურობენ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სახელმწიფო დაწესებულებებს. რა უბანზეც უნდა მუშაობდნენ საბჭოთა ქალები, ისინი გვიჩვენებენ შრომისმოყვარეობის, მინაგანი დისციპლინის, ორგანიზებულობის მაგალითს, და სამშობლო დიდად აფასებს მათს შრომითს გმირობას. სამშობლოს ხუთი ათასზე მეტ სახელოვან ქალს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს — ლენინური და სახელმწიფო პრემიები.

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, ხაზი გაუსვა ორატორმა, სოციალისტური დემოკრატია არა მარტო აცხადებს პიროვნების თავისუფლებას, არამედ ქმნის კიდეც ამის წინამძღვრებს, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრისათვის, მათ შორის ქალებისთვისაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის რეალურ უფლებას.

პარტია და სახელმწიფო დიდად ზრუნავენ დედისა და ბავშვისათვის. ქალებს ეძლევათ ნაყოფიერი შრომის, ბავშვების აღზრდის, სწავლისა და დასვენების, კულტურის საგანძურის შემდგომი ზიარების ახალი შესაძლებლობანი. ჩვენი ხალხი დიდ პატივს სცემს დედას, რომელიც გვანიჭებს სიცოცხლეს, სიხარულს, ბედნიერებას!

ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა დასასრულ ა. პ. ბირიუკოვამ, ჩვენი ქალები აქტიურად უჭერენ მხარს სკკპ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ახალ საბჭოთა ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება.

საზეიმო კრების მონაწილეებს დღესასწაული მიულოცეს დედაქალაქის პიონერებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათვის გაგზავნილ მისასალმებელ წერილმი კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აღუთქვეს მათ, რომ მოსკოვის ქალები, ყველა მშრომელი ამრავლებენ მეცადინეობას კომუნისტურ დიადი იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

თბილისში

5 მარტს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა გულთბილი, გულში ჩამწვდომი სიტყვები დედისადმი, მშრომელი ქალისადმი. აქ გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. ანდრონიკაშვილი, გ. გაბუნია, პ. გილაშვილი, გ. კოლბინი, ჯ. პატიაშვილი, დ. ქართველიშვილი, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი, თ. მოსაშვილი, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გაზსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

ყღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ერთსულოვნად, ტაშის გრიალით დამსწრენი კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ქალთა საერთაშორისო დღე შეკრებილთ და მათი სახით რესპუბლიკის ყველა სახელოვან მშრომელ ქალს, დედებს, ცოლებს, ქალიშვილებსა და დ ე ბ ს გულითადად მიულოცეს ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარმა რედაქტორმა მწერალმა მ. ბარათაშვილმა, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მრჩველ ზ. ფირცხალაიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. ბოგომოლოვმა, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, მრავალშვილიანმა დედამ თ. გურგენიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა რ. ლორთქიფანიძემ, გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორმა პოეტმა მ. ფოცხიშვილმა. უდიდესი მადლობისა და გულწრფელი მადლ ი ერ ებ ი ს გრძნობები გამოხატეს მათ ყველა ქალისადმი მთაგონებულ ი შრომისათვის, სამშობლოს საკეთილდღეო დაუცხრომელი საზრაგაღო მოღვაწეობისათვის.

საყვარელ დედებს, ბებიებს, უფროს დებს, საზეიმო კრების ყველა მონაწილეს მიესალმნენ ოქტომბრელები.

კრება დახურულად ცხადდ ებ ა. კვლავ ყღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კრების მონაწილეთ ა თ ვ ი ს გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

თვალსაჩინო მიღწევებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს შორის 1983 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა თბილისის „ანალიზსელსაწყოს" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის ხარატ ტრისტან ჯანიაშვილს. საინტერესოდ წარიმართა საწარმოში ამ ადამიანის ბედი.

თბილისის № 87 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი საბჭოთა არმიის რიგებშია. სამხედრო სამსახურში ყოფნისას საშუალება მიეცა აღესრულებინა თავისი გატაცება და მაღალი კვალიფიკაციის მძღოლი გამხდარიყო.

სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი ვალის პირნათლად მოხდის შემდეგ ჭაბუკი თბილისში დაბრუნდა და ზემოხსენებულ საწარმოს მიაშურა. აქ იგი მძღოლად ჩარიცხეს, მაგრამ სოხოვეს, ვიდრე საწარმო ახალ ავტომობილს მიიღებდა, რაიმე ხელობა შეეისწავლა. მიამაგრეს გამოცდილ ხარატს ლევან ეფრემოვს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალგაზრდის ცხოვრებაში. თუ რამდენად შეაყვარა ლ. ეფრემოვმა მას ხარატის პროფესია, ამაზე ლაურეატის საპატიო წოდებაც ნათლად მეტყველებს.

დღეს შრომის ვეტერანი ტ. ჯანიაშვილი თვითონ უნერგავს ახალგაზრდებს სიყვარულს ხარატის პროფესიისადმი.

* * *

სურათზე: ტრისტან ჯანიაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

კომუნიზმის აქტიურ მშენებლები

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

მოსკოვში

5 მარტს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ ამხანაგებს ჰ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ნ. ა. ტიხონოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, მ. ვ. ზიმიანინს.

პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მხეიარომთავრები, მრეწველობის მოწინავე მუშაკები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საბჭოთა ქალებისადმი, რომელიც სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. თ. დემენტიევამ წაიკითხა. ქვეყნის ქალების სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა ქალების როლის მაღალი შეფასებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე დიდი ზრუნვისათვის, ქვეყნად მშვიდობის გამტკიცებისათვის.

სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ქალების ნამდვილი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, აღინიშნა თავის გამოსვლაში საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ა. პ. ბირიუკოვამ. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე განუხრელად, შემოქმედებითად ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს ქალების თანასწორუფლებიანობის შესახებ. მათი მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში როლის ამაღლებისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებულია სახელმწიფო პოლიტიკად, გარანტირებულია სოციალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო ღონისძიებათა სისტემით.

ასიათასობით ჩვენს თანამემამული ქალს ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ისინი მეთაურობენ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სახელმწიფო დაწესებულებებს. რა უბანზეც უნდა მუშაობდნენ საბჭოთა ქალები, ისინი გვიჩვენებენ შრომისმოყვარეობის, მინაგანი დისციპლინის, ორგანიზებულობის მაგალითს, და სამშობლო დიდად აფასებს მათს შრომითს გმირობას. სამშობლოს ხუთი ათასზე მეტ სახელოვან ქალს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს — ლენინური და სახელმწიფო პრემიები.

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, ხაზი გაუსვა ორატორმა, სოციალისტური დემოკრატია არა მარტო აცხადებს პიროვნების თავისუფლებას, არამედ ქმნის კიდეც ამის წინამძღვრებს, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრისათვის, მათ შორის ქალებისთვისაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის რეალურ უფლებას.

პარტია და სახელმწიფო დიდად ზრუნავენ დედისა და ბავშვისათვის. ქალებს ეძლევათ ნაყოფიერი შრომის, ბავშვების აღზრდის, სწავლისა და დასვენების, კულტურის საგანძურის შემდგომი ზიარების ახალი შესაძლებლობანი. ჩვენი ხალხი დიდ პატივს სცემს დედას, რომელიც გვანიჭებს სიცოცხლეს, სიხარულს, ბედნიერებას!

ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა დასასრულ ა. პ. ბირიუკოვამ, ჩვენი ქალები აქტიურად უჭერენ მხარს სკკპ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ახალ საბჭოთა ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება.

საზეიმო კრების მონაწილეებს დღესასწაული მიულოცეს დედაქალაქის პიონერებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათვის გაგზავნილ მისასალმებელ წერილმი კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აღუთქვეს მათ, რომ მოსკოვის ქალები, ყველა მშრომელი ამრავლებენ მეცადინეობას კომუნისტურ დიდი იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

თბილისში

5 მარტს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა გულთბილი, გულში ჩამწვდომი სიტყვები დედისადმი, მშრომელი ქალისადმი. აქ გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, გ. ანდრონიკაშვილი, გ. გაბუნია, პ. გილაშვილი, გ. კოლბინი, ჯ. პატიაშვილი, დ. ქართველიშვილი, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი, თ. მოსაშვილი, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გაზსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

ყღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ერთსულოვნად, ტაშის გრიალით დამსწრენი კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ქალთა საერთაშორისო დღე შეკრებილთ და მათი სახით რესპუბლიკის ყველა სახელოვან მშრომელ ქალს, დედებს, ცოლებს, ქალიშვილებსა და დ ე ბ ს გულითადად მიულოცეს ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარმა რედაქტორმა მწერალმა მ. ბარათაშვილმა, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მრჩველ ზ. ფირცხალაიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. ბოგომოლოვმა, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, მრავალშვილიანმა დედამ თ. გურგენიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა რ. ლორთქიფანიძემ, გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორმა პოეტმა მ. ფოცხიშვილმა. უდიდესი მადლობისა და გულწრფელი მადლ ი ერ ებ ი ს გრძნობები გამოხატეს მათ ყველა ქალისადმი მთაგონებულ ი შრომისათვის, სამშობლოს საკეთილდღეო დაუცხრომელი საზრაგაღო მოღვაწეობისათვის.

საყვარელ დედებს, ბებიებს, უფროს დებს, საზეიმო კრების ყველა მონაწილეს მიესალმნენ ოქტომბრელები.

კრება დახურულად ცხადდ ებ ა. კვლავ ყღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კრების მონაწილეთ ა თ ვ ი ს გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

ᲐᲖᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ საყაროს შენება „ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანების" აღზრდას მოითხოვს. ლენინის ეს აზრი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე. რაც უფრო წინ მივიწევთ ცხოვრების მიერ წამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქმის წარმატებისათვის მასებში პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის პრობლემები.

ამ დარგში ხერიოზული და პასუხსაგები ამოცანები განსაზღვრულია პარტიის XXVI კრებების გადაწყვეტილებებით, ცენტრალური კ

მთავარია მიწათმოქმედების ეფექტიანობა

ტექნიკური პროგრესი სოფლის ფინვლის თავიდათავია

სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის რაც შეიძლება მოკლე ვადაში საიმედოდ უზრუნველყოფა დღეს არა მარტო აქტიალური ეკონომიკური, არაშედ სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაც არის. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი დიდად არის დამოკიდებული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოებაში დაჩქარებულ დანერგვაზე.

ამიტომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ მიღებულ სასურსათო პროგრამაში ფართოდ არის გათვალისწინებული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებები.

„ჩვენ დიდი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობაში. მთელი ეს რეზერვები უნდა ვეძიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფ დანერგვაში“, — აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე.

მეცნიერების მიღწევების დანერგვამ, ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაედიდებინათ მოსავლიანობა.

როგორც ცნობილია, ამჟამად მინდვრის საწყობიანი, ძირითადად, მთლიანად მექანიზებულია. შორს არ არის ის დრო, როცა სრული მექანიზაციით მოვიყვანთ კარტოფილს, შაქრის ჭარხლის, ბამბის, სიმინდის, საკვები კულტურების მოსავალს.

ამის საფუძველს გვაძლევს ბოლო წლებში სოფლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შედეგები. აი ზოგიერთი მაგალითიც. თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმამდე ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძოხის წვალა მექანიზებული იყო 27 პროცენტით, საკვების მიცემა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში — 3 პროცენტით, პირუტყვის სადგომი შენობებიდან ნაკელის გატანა — 9 პროცენტითა და სხვ., შემდგომ წლებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. 1981 წელს ფერმებში ძროხის წველა მექანიზებული იყო 91 პროცენტით, საკვების მიცემა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის — 46 პროცენტით, ნაკელის გატანა — 77 პროცენტით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მეცხოველეობა ცოტა მანქანა-მოწყობილობას იღებდა. 1965 წელს მეცხოველეობისათვის გამოშვებული იყო 137 დასახელების მანქანა-მოწყობილობა, 1980 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 365-მდე გაიზარდა. ყოველ-ივე ამან ხელი შეუწყო ფერმებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებას. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მეცხოველეობის ფერმები კომპლექსურ მექანიზაციაზე გადაიყვანა, რის შედეგადაც შესამჩნევად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა წარმოების ხარჯები, ამაღლდა რენტაბელობა და სხვ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო პროცესების ინდუსტრიალიზაციას არა მარტო დიდი ეკონომიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობაც აქვს, როგორც იგი ხელს უწყობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობების დაახლოებას, სოციალური ერთგვაროვნობის ფორმირების დაჩქარებას და სხვ. ამდენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად შრომის ფონდაღჭურვილობას. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ჰარმონიულ ინტეგრაციას, განსაკუთრებით კი შრომის იაროიების გამოყენების სეზონურობასთან დაკავშირებით და იმის გამოც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგები დიდად არის დამოკიდებული ბუნების კაპრიზებზე. სწორედ ამიტომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფონდაღჭურვილობისათვის მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია 189,6 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდება, რაც 10,9 პროცენტით მეტია მეათე ხუთწლედის კაპიტალდაბანდებებზე.

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პროდუქციის წარმოების გადიდება, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებულია ინტენსიური ფაქტორების გამოყენების საფუძველზე. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ინტენსიური ფაქტორებით წარმოების მოცულობის ზრდა, უწინარესად, სოფლის მეურნეობაში უნდა განხორციელდეს, რადგან დასამუშავებლად ვარგისი მიწის სიჭარბე გაფართოება რამდენადმე შეზღუდულია. ამასთან დაკავშირებით ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის იანვრის პლენუმზე გარკვევით თქვა, რომ 1990 წლისათვის დასახულ სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების ბოსტნეულის, ხორცის და რძის) საშუალო წლიურ წარმოებას უნდა მივაღწიოთ ინტენსიფიკაციის გზით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესი მრავალწახნაგოვანია. იგი შეიძლება გამოვლინდეს ძირითადი წარმოებრივი ფაქტორების რაოდენობრივი ზრდის ფორმით, ან წარმოებრივი ფონდების სტრუქტურის ან ცალკეული ელემენტის თვისებრივი გაუმჯობესების სახით ან პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვითა და სხვ.

მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების გადიდება, უწინარესად, ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდაზეა დამოკიდებული. ამის მისაღწევად კი აუცილებელია წინა პლანზე დავაყენოთ სელექციისა და მეთესლეობის შემდგომი გაუმჯობესების, ყოველგვარი სასუქის ეფექტიანი გამოყენების, მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავების და სხვა საკითხები.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გასაადიდებლად აუცილებელია პირუტყვის სულადობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენს რესპუბლიკაში. როდესაც მეცხოველეობის განვითარების ეფექტიანობის მაჩვენებლები შესამჩნევად ჩამორჩება შესაბამის საერთო-საკავშირო ღონეს, სახელმწიფოსათვის მაყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა რესპუბლიკაში 1980 წელს 245 კილოგრამს შეადგენდა, რაც 105 კილოგრამით ნაკლები იყო საერთო-საკავშირო მაჩვენებელზე. 1981 წელს ძროხის წველადობა რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობებში საერთო-საკავშირო მაჩვენებელზე 1066 კილოგრამით, ანუ 51 პროცენტით ნაკლები იყო. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სანაშენე მუშაობის გაუმჯობესებას, პროდუქტიული სახორაგე პირუტყვის მომრავლებას და სხვ. პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, უწინარესად, საჭიროა საკვების წარმოების არა მარტო გადიდება, არამედ ხარისხობრივი გაუმჯობესება, პირუტყვის მოვლა-შენახვაში ინტენსიური მეთოდების გამოყენება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებელთან მიტანის პროცესის ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ვიწრო ადგილები“ თავს იჩენენ არა იმდენად წარმოების პროცესში, რამდენადაც შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს. ამიტომაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საკითხის წარმატებით გადაჭრა ამ საკითხებისადმი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

კომპლექსური მიდგომის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ ერთმანეთს ოპტიმალურად შეეხამოს, გაერთიანდეს სოფლის მეურნეობის, მისი მომსახურე მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის დარგების მუშაობა. მთელი ეს საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს საერთო საბოლოო მიზანს — მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების წარმოებასა და მომხმარებლამდე უზადოდ მიტანას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა სათანადო ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებანი სრულად არ არიან აღჭურვილნი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, განსაკუთრებით ახალი დიდმწარმოებლური მანქანა-იარაღებით ხარისხიანი მინერალური სასუქებითა და მცენარეთა და ცხოველთა დაცვისათვის საჭირო ქიმიური პრეპარატებით. ეს კი სერიოზულად აბრკოლებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას.

იმ მიზნით, რომ 1990 წლამდე პერიოდში ძირითადად დამთავრდეს ქვეყნის მასშტაბით მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, უზრუნველყოფილი იყოს წარმოების ქიმიზაცია და მიწების მელიორაცია, ამ დარგებისათვის შემუშავებულია 3.787 დასახელების სასოფლო-სამეურნეო მანქანების სისტემა, მათგან კი სერიულად გამოდის მხოლოდ 1726 დასახელების მანქანა.

სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ამ მანქანათა სისტემების, ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიური კომპლექსების წარმოებაში დანერგვა შრომის დანახარჯებს შეამცირებს: მემცენარეობაში — 30 პროცენტით, მეცხოველეობაში — ორჯერ და მომსახურე პერსონალს შეამცირებს 1-1,2 მილიონი კაცით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად გათვალისწინებულია მარცვლეულის ასაღები კომბაინების („ნივა“, „კოლოსი“, „სიბირიაკი“) მოდერნიზაცია. ამასთან, მეათე ხუთწლედთან შედარებით 10-ჯერ უნდა გაიზარდოს ისეთი კომბინირებული აგრეგატების გამოშვება, რომლებიც ერთი გაჯვითა შეასრულებენ რამდენიმე ტექნოლოგიურ ოპერაციას. 80-იან წლებში სოფლის მეურნეობა მიიღებს სრულიად ახალ ტექნიკას. მაგალითად, სიმინდისა და კარტოფილის ასაღებ თვითმავალ კომბაინებს, დიდმწარმოებლური ჭარხლის დასატვირთავებს და სხვა.

ათწლეულში სოფლის მეურნეობა მიიღებს 67-70 მილიარდი მანეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, რაც 1,8-ჯერ აღემატება 1971-1980 წლებში მიღებული ტექნიკის ღირებულებას. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ყველაზე მაღალი გადიდებისათვის საკმარისი არ არის მარტო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობრივი ზრდა. საჭიროა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კადრები კარგად ფლობდნენ უხვი მოსავლის მოყვანის ხელოვნებს. დასამალი არ არის, რომ სოფლად ჯერ კიდევ საათანადოდ ვერ ვიყენებთ მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას, ტექნიკისა და მიწის პოტენციურ შესაძლებლობებს. ამასთან სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი და ამ საქმეში უნდა გაერთიანდეს რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის მეცადინეობა.

გ. ჩაგელიშვილი.

ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის ეტაპი

საკუთარი ბოსტნიდან

თბილისი საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მშრომელის ოპერატორ პ. იჩქიტიძის ოჯახს ალარ სჭირდება ბაზარში სიარული ბოსტნეულის, ხილის, მწვანილის საყიდლად. მოსავალი, რომელსაც ოჯახის წევრები თავიანთი 0,06-ჰექტარი ფართობის ნაკვეთიდან იღებენ, მათ თითქმის მთელ წელიწადს ჰყოფნით.

საკუთარი ბოსტნის პროდუქცია მთელი წლის მანძილზე აქვს 1200 ელმავალმშენებელს, რომლებიც 15 წლის წინათ წვერებად შევიდნენ საწარმოში მოწყობილ კოლექტიური შებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობაში. მოგვიანებით იგი ტერიტორიულად დაიყო ქალაქის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ადგილის მდებარე ხუთ ნაწილად. ყველაზე დიდი გლდანისა, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა 467 ოჯახს აერთიანებს.

— ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ავტომობილი „მოსკვიჩი“ ვიყიდეთ, — თქვა იჩქიტიძემ, — ფულის შეგროვებაში დიდად დაგვეხმარა მიწის ნაკვეთი. რა დასამალია და, ბაზარში ხომ ჩვენი ხელფასის გვარიან ნაწილს ვტოვებთ ხოლმე. დიდი ხანი არ არის, რაც დავიწყეთ ფრინველის მოშენება, ვაპირებთ სკების დადგმას.

მაგრამ ამხანაგობის წევრებს სახრუნვივიც ბევრი აქვთ. ნაკვეთებში არ ჰყოფნით წყალი, არ არის გაყვანილი ელექტროგანათება. ამ საკითხის მოგვარება შეესაძლებელს გახდის გაიზარდოს ბოსტნეული კულტურების, ხილის მოსავლიანობა. (საქინფორმი).

ქადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე სწავლება დაამთავრეს პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეებმა.

მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ჟ. კ. შარტავამ.

კურსების მსმენელებს წაუკითხეს ლექცია-მოხსენებანი კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სკკპ XXVI კრების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესაბამისად პარტიის ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის საკითხებზე.

სწავლების პროცესში დიდი ადგილი დაეთმო პარტიის რიგების ზრდის რეგულირებისათვის, ადმინისტრაციის საქმიანობის პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის სრულყოფისათვის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების, პარტიული კრებების, პლენუმების, აქტივის კრებების მომზადება-ჩატარებისათვის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

მსმენელებისათვის მოეწყო გამსვლელი მეცადინეობანი საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტსა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ კომიტეტში, პარტიის თბილისის პირველი მაისის, საქარხნო, ორჯონიკიძის, კიროვის რაიკომებში, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომში. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში მათ გააცნეს ელექტრონული გამომთვლელი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენება.

„მრგვალ მაგიდასთან“ გამართული საუბრების დროს მსმენელები შეხვდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს გ. ი. გვეტაძეს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს ვ. ა. სობოლევს, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს კ. კ. გარდაფხაძეს, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ქ. ნ. შავიშვილს, იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ა. შ. აბესაძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელს ე. ა. სეხნიშვილს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს ა. ლ. ცაგარელს, ვ. ი. გომელაურს, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარ რედაქტორს ვ. ვ. კუშელავას.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები — ო. მ. ივანაშვილი, ლ. ი. მგალობლიშვილი, ნ. რ. საჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ჯ. ი. ბერიძე, მ. მ. დანელია, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. გ. კოზმინი და სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები და მეცნიერები.

საბოლოო მეცადინეობაზე მსმენელებს შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი. (საქინფორმი).

ნ მ ა რ ტ ი

ეუსროეთუი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუფყება

ვენა. *ვენის საერთაშორისო ცენტრში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მდგომარეობის კომისიის რიგგარეშე სესია.* კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ 70-ზე მეტი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციები. როგორც ცნობილია, ეს კომისია ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1976-1985 წლებში „თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის“ ლოზუნგით მიმდინარე ქალთა მხარდაჭერის ათწლეულის შედეგების შემაჯამებელი მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის ფუნქციებს.

დელეგაციებმა განიხილეს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში ქალთა როლის ამაღლების საკითხები, მხარი დაუჭირეს ერთიან მიდგომას ათწლეულის შედეგების განხილვისადმი, იმას, რომ მისი მიზნები — თანასწორობა და მშვიდობა — საფუძვლად დაედოს ამ დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელ საქმიანობას. მკაცრად გააკრიტიკეს სესიაზე კაპიტალისტური ქვეყნების დელეგაციათა პოზიცია, რომლებიც ისწრაფვოდნენ კონფერენციის მომზადებისას თავიდან აეცილებინათ ნამდვილი პრობლემების ანალიზი, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ.

განვითარებადი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა იმ მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც ქალთა მდგომარეობას ეხება, დაუკავშირან მშვიდობის უზრუნველყოფისა და სამართლიან და დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის საკითხებს.

მექსიკის, კენიის, კუბის, ფილიპინების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ათწლეულის მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, რომლის მონაწილე უკვე გახდა 50-მდე სახელმწიფო, აგრეთვე დეკლარაციები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის, რასიზმისა და უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

თანასწორობა, განვითარება, მშვიდობა

დამთავრდა ქალთა მდგომარეობის კომისიის რიგგარეშე სესია

ტოკიო. *ტოკიოში ჩატარდა ოლიმპიადა-83 ფიზიკურ კულტურაში ინვალიდთა მონაწილეობით.* ოლიმპიადაში მონაწილეობდა 1000-ზე მეტი ინვალიდი 20 ქვეყნიდან. ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა გაუწიეს 10 ათასმა ადამიანმა. ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა გაუწიეს 10 ათასმა ადამიანმა. ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა გაუწიეს 10 ათასმა ადამიანმა.

ბონი. *ბონში ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ბანკებიდან ამოიღეს 1 მილიარდ მარკაზე მეტი.* ეს ფაქტი ადასტურებს, ბანკებიდან ფულის ამოღებას ადასტურებს, ბანკებიდან ფულის ამოღებას ადასტურებს, ბანკებიდან ფულის ამოღებას ადასტურებს

კომუნისტი
საკვირაო საკითხავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი სულ მალე მიიღებს მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანს „ნატვრის თვალს“ (I და II ნაწილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). დღეს გთავაზობთ ერთ თავს ამ რომანიდან.

ოთამდელი საგონებელი...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მთელი ერთი კვირა მერაბ ზარიძე დაღვრემილი დადიოდა სოფელში. მან უკვე დაიცა სუნი, სამი კოლმეურნეობის გაერთიანებას აპირებენო; გულმა მაშინვე უთხრა, თუ რა მოჰყვებოდა ამ გაერთიანებას. ვიღაც-ვიღაცეები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, გამსხვილებულ კოლმეურნეობას ზაქარია წადიბაიძეს ჩააბარებენო, „წითელ დათას მეც მიმაყოლებენ და...“.

ტახტს ვინ დაეძებს, გამგეობის ოთახს დატოვებს თუ არა, მეორე დღესვე ბევრი ისეთი რამ გამომჟღავნდება, რამაც მერაბ ზარიძეს შეიძლება პარტბილეთი დააკარგვინოს. მეტი უბედურება რაღა იქნება!

შეიძლება პარტიის წევრი არ იყო და... მამა-ღმერთს გაუტოლდე ამ ქვეყანაზე, მაგრამ პარტიიდან თუ გაგრიცხეს, მერე გათავდა შენი საქმე, კიბეს ხელმეორედ ნუ მიადგები, მაღლა არ აგიშვებენ, თუ რამე სასწაულმა შენი ცოდვები არ გადაწონა.

მერაბ ზარიძის ცოდვებს კი რა საწონი მოერეოდა! არადა, ჯერხანად გეში ვერ აეღო, ისეთი რა მოემოქმედა, რომ ცეცხლის კალოს გადარჩენოდა.

რა მგლის მუცელში არ გამძვრალა მერაბ ზარიძე, კაცი ვერ იფიქრებდა, თუ ამგვარი ფეთება ასე მაგრად დარევდა ხელს „გაზაფხულის“ თავმჯდომარის მოადგილეს. იმ საღამოს თავი ვერ შეიკავა და თავისი წუხილი წითელ დათას გაუზიარა. მთლად შავად არ დახატა მდგომარეობა, რომ ძმაკაცი არ დაეფრთხო, მაგრამ როგორი იყო მისი გოცება, როდესაც „ანჩაშვილმა ჯერ ქუფრად მოისმინა მისი ნაამბობი, მერე ერთბაშად შუბლი გაშალა, ჩაიცინა და სთქვა:

— მე კი მეგონა, შავ ზღვაში გემი დაგეღუპა-მეთქი!

— შენ ტყუილად კუჭკუჭებ, დათავ! ნუ გიყვარს ჭირის გაადვილება! გემის დაღუპვაზე მეტი არ იქნება, თუ ჩვენ აქედან გუდა-ნაბადი აგვიკრეს. გაიგე, გუშინ კრებაზე რა უთქვამს მანუჩარ უგრეხელიძეს?

— რაო, რა მინდაო!

— საკოლმეურნეო წესდებას ერთი ახალი მუხლი უნდა დაემატოსო, — ჯავრიანად სთქვა ზარიძემ და თვალები ოდნავ მოჭუტა, თითქოს ტრიბუნასთან დამდგარ უგრეხელიძეს უყურებდა: — ერთი კოლმეურნეობიდან დათხოვნილი თავმჯდომარე მეორე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აღარ უნდა აირჩიონო! ხედავ, როგორ აუშვა ენა მანუჩარ უგრეხელიძემ, ორი კურდღლის დაჭერა უნდა, აქედანაც გაგიშვან და სხვაგან კარი არ გაგიღონ! ძალიან ჩეფიჩობს ამ ბოლო დროს, მაგრამ არა უშავს, ერთი ქორი ყველას ჩამოუვლის ცხოვრებაში!

— გიყურებ და ვერა გცნობ, ჩემო მოადგილეო! მანუჩარის სიტყვას ბაკი არ ადევს. რასაც დააყრიან, იმასა ფქვავს! მაგისთანა ყბაღიას ყური არც უნდა დაუგდოს ჭკვიანმა კაცმა! — ისევ არხეინად მიუგო ანჩაშვილმა.

— მოდი და ნუ დაუგდებ! ჩოხელთან სწორედ ეგ სოლობრძენი მივარდნილა და ყელზე თოკი გამოუბამს, ხალხი გაერთიანებას მოითხოვსო...

— ვიცი მერაბ, ყველაფერი ვიცი!

— არ გეტყობა! — წაიღრინა ზარიძემ.

— მეტყობა თუ არ მეტყობა, ახლავე გამოჩნდება. დაჯექი და ყური დამიგდე.— დათას ისეთი იმედიანი კილო ჰქონდა, რომ ზარიძემ უნებურად გაიფიქრა, „გულს მიკეთებს, თუ მართლა დაუდგა თვალები და ხიფათს ვერ ხედავსო“...

მაინც დაჯდა, ხელები კეფაზე შემოიწყო და თავმჯდომარეს მიაჩერდა.

— როგორც მითხრეს, ამ საქმეს მომავალ წლამდე არ გადაწყვეტენო. ეგრეა? ზარიძემ თავი დაუქნია.

— სამაისოდ თბილისში დიდი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ეწყობა. სანამ იმ ჭაპანწყვეტას არ მოათავებენ, ჩოხელი ჩვენთვის ვერ მოიცლის!

— მერედა, შე კაი-კაცო, მანამდე ჩვენ რა გულზე ხელები დავიკრიფოთ და განაჩენის გამოტანას მოვუცადოთ?!

— სხვა რა ჯანი გვაქვს, ჩემო დათა! აბა თოფი ვესროლოთ და ჩვენც თან გადავყვეთ?

— რატომ თოფი, მერაბ! ჭკუა მოვიხმაროთ, გაჭრა და გატანა იმას უფრო მეტი აქვს! — მიუგო ანჩაშვილმა და თვალი ისე უზაკველად გაუმართა მეგობარს, რომ იგი მაშინვე მიხვდა: არა, ანჩაშვილმა რა დაგემართა, მერაბ! — შეუწყრა თავმჯდომარე! — სული სადა გაქვს, გამაგებინე! ცხვირში, თუ იქა, სადაც ღმერთმა ჩაგიდგა?!

ზარიძემ კვლავ ამოიხვნეშა და თავი ჩაჰკიდა. წითელმა დათამ კი რვეული გადაფურცლა და სთქვა:

— ამ პროცენტებს თუ გავყვებით, ტახტი, რა თქმა უნდა, ზაქარია ნადიბაიძეს უნდა დარჩეს, პურში ძალიან გვაჯობა ამ წელიწადს!

— რას გადამეკიდე, შე უღმერთო, მოგზავნილი ხომ არა ხარ! ჩემს გულს კიდევ ცეცხლის შენთება სჭირდება?!

თავმჯდომარემ ყური არ ათხოვა მეგობრის საყვედურს, მუხლზე ხელი დაადო, დამაცალე, ნუ გამიჯავრდებიო, და უშფოთველად განაგრძო:

— მაგრამ იბადება მესამე კითხვა! შეიძლება თუ არა ნადიბაიძეს გადავასწროთ, ჩვენი ხალხის გული მოვიგოთ და ჩოხელიც გავახაროთ! თუ ჩემი სიტყვა ჭკუაში დაგიჯდება, ნამდვილად შეიძლება!

ახლა კი მართლა გაუწყდა მოთმინების ძაფი მერაბ ზარიძეს. წამოვარდა, ქუდს ხელი დაავლო და თავმჯდომარეს თავზე დაადგა:

— დამცინი, დათავ?! შვიდი წელიწადი გავიდა „გლეხის იმედს“ ერთხელაც მხარი ვერ გავუსწორეთ! 60 ფუთი, 65 ფუთი, მეტი ვერ გაიმეტა ჩვენმა ყანა-მინდორმა. სასუქი კი არა, თუ გინდა ადექი და შენ თვითონ ნახნავში ჩაეტახე! ჩვენისთანა ზანტი მიწის პატრონი ბეღელს მაინც ვერ გაავსებს!

სასუქის ხსენებაზე წითელ დათას გულში გაეცინა, გაახსენდა, მამასისხლად ნაშოვნი მინერალური სასუქი რა თვალისწამში ჩარეცხა ხევში კოდიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა. მაგრამ ახლა გაჩუმება ამჯობინა ანჩაშვილმა. სიტყვა პირში არ შეატეხა ისედაც დაძმარებულ მოადგილეს.

ე. ამბოკაძის ნახატი.

— შენ კი ზღაპარს მეუბნები, ნადიბაიძეს გადავასწროთო! 60 ფუთით?! — იყვირა ზარიძემ და რვეული ხელიდან გამოსტაცა: — ამას რა ჭკუა ეკითხება! რატომ ის არ გახსოვს, რა ხვავი დააყენა ამ წელიწადს ზაქარიას პანტიშარამ! ჰექტარზე ასი ფუთი ხორბალი დააძახებინა! ასი ფუთი! იცი, ეს რამდენია?

— ვიცი, ჩემო მერაბ, სამოცზე მეტია და ასოცზე ნაკლები! — მშვიდად მიუგო ანჩაშვილმა და თავის უცნაურ პასუხს საიდუმლო ღიმილიც გაადევნა.

უზომოდ გაოცებული მერაბი სკამზე უღონოდ დავარდა.

— კი მაგრამ, მე რომ ხუმრობის გუნებაზე არა ვარ, ჩემო თავმჯდომარეკ! მე საქმეზე გელაპარაკები, შენ კი რაღაცას ბოდავ და ღობე-ყორეს ედები, რა მოხდა, წუხელ ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია! აბა, რა ეშმაკმა აგატროკა ამ დილა-ადრიანად!

— დაწყნარდი, მერაბ, მათქმევინე ჩემი სათქმელი! მე ისეთი უებარი წამალი ვიცი, 120 ფუთი ხორბალი ვითომ ჯიბეში გედოს! არა გჯერა? კარგად დამიგდე ყური. ამ შემოდგომაზე ჩვენ პური ხუთას ჰექტარზე უნდა დავთესოთ, არა?

— როგორც შარშან... — ცალუბად მიუგო ზარიძემ.

— ჩვენ კი შვიდასი ჰექტარი დავამუშაოთ! შვიდასი, შვიდასი! — წყნარად გაიმეორა ანჩაშვილმა, რადგან მერაბს თვალები უკვე გადმოცვენაზე ჰქონდა: — მხოლოდ ერთი პირობით: ეს ამბავი მარტო ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მე, შენ და ძეწნას ბიჭმა. იმ ორას ჰექტარს არც გეგმაში შევიტან, არც სხვა რაიმე საბუთს გავაკარებ! იქიდან შემოსული ხორბალი კი ამ ხუთას ჰექტარს დავაყაროთ! გაისად მთელ რაიონს ავალაპარაკებთ, ეგ რა სასწაული მოახდინეს, გეგმას გადააჭარბესო! მერე კი ვნახოთ, ვის დარჩება ბურთი და მოედანი. გაიგე, რას გეუბნები!

გაიგო, როგორ არ გაიგო, რა ცეცხლსაც ეთამაშება „გაზაფხულის“ თავმჯდომარე, მაგრამ სხვა გზა რომ არა სჩანს!

ზარიძე ერთი ხანი ჩუმად დასცქეროდა იატაკს და როგორც შუდამ სჩვეოდა, აფთიაქის სასწორზე სწონიდა თავმჯდომარის მოულოდნელ წინადადებას.

რა გველის ჭკუამ მოიგონა ასეთი რამ! მხოლოდ მაგარი ეს არის, ორასი ფარული ჰექტარი ასე ხელდახელ საიდან გააჩინონ, ან ისე როგორ დამალონ, რომ კუდი არ გამოუჩნდეს...

— არ გამოუჩნდება! — დაამშვიდა ანჩაშვილმა — წინაველის სათიბებს და მოლაურას ტყისპირებს ჭაობებში გადავწერ; ვინ ზომავს და ამოწმებს, სად რა მიწა დაგვიჭაობდა, სად რა სავარგული დაგვიჩაგრა ბუნებამ! შენ მხოლოდ წითელი დოლის თესლი მიშოვე, დანარჩენი ჩემზე იყოს.

— კარგი დათა, თანახმა ვარ! გინდ მგელს შევუჭამივარ, გინდ მგლისფერ ძაღლს! — უთხრა ზარიძემ.

— ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ! ჩოხელს ოღონდ პური მიეცი და, მერე ვინ დაეძებს, ის პური საიდან მოიყვანე და როგორ მოიყვანე! — მიუგო ანჩაშვილმა და მოადგილეს მხარზე ხელი დაჰკრა, გაამხნევა, შახი არ გაიტეხოო...

ამ დღიდან თითქმის ერთი წელიწადი რომ გავიდა, წიფლის წყაროს რაიონულ გაზეთში იქაური სოფლკორის წერილი დაიბეჭდა. — **კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ ნამდვილი გაზაფხული.**

წაგიკითხავთ რამდენიმე სტრიქონს.

„მიმდინარე წელს სამაგალითოდ იშრომეს კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ მხვნელ-მთესველებმა (თავმჯდომარე დ. ანჩაშვილი, პარტუჯრედის მდივანი მ. გომელაური). ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ ხსენებული „გაზაფხული“ ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა წიფლისწყაროს რაიონში. წლიდან წლამდე ვერ ასრულებდა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმას. გვახსოვს ისეთი წელიწადიც, როდესაც შრომადღეზე მხოლოდ ორასი გრამი მარცვალი ნაწილდებოდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეურიგდნენ ამ უმსგავსო მდგომარეობას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს შრომის დისციპლინის დამრღვევებს, მუქთახორებს, ზარმაცებს, გულმოდგინედ შეისწავლეს მოწინავე კოლექტივების გამოცდილება და შედეგმაც არ დააყოვნა, — მომდინარე წელს პურის არნახული მოსავალი მოიწიეს და პირველი ადგილი დაიკავეს რაიონის კოლმეურნეობებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს დიდი გამარჯვება გუშინ, კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ საერთო კრებას პირადად მიულოცა ჩვენი რაიკომის პირველმა მდივანმა სიმონ ჩოხელმა და მოწინავე კოლმეურნეებს ფასიანი საჩუქრები და ქების სიგელები გადასცა“.

და კიდევ იცით, რა მოხდა?

ამ გამარჯვებამ ჩოხელს ახალი საფიქრალი გაუჩინა. დაფრთხა კაცი, ვაი-თუ „გაზაფხულის“ კოლმეურნეობას კარგად აწყობილი საქმე აერ-დაერიოსო. ამიტომ ადგა და სამი კოლმეურნეობის გაერთიანების საკითხს თავი დაუკრა, — მისი განსჯა-გადაწყვეტა სამერმისოდ გადადო.

მალე სამამულო ომიც დაიწყო და სოფელს სხვა საგონებელი მიეცა...

ოთამდელი საგონებელი...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

რეობა, რომ ძმაკაცი არ დაეფრთხო, მაგრამ როგორი იყო მისი გოცება, როდესაც „ანჩაშვილმა ჯერ ქუფრად მოისმინა მისი ნაამბობი, მერე ერთბაშად შუბლი გაშალა, ჩაიცინა და სთქვა:

— მე კი მეგონა, შავ ზღვაში გემი დაგეღუპა-მეთქი!

— შენ ტყუილად კუჭკუჭებ, დათავ! ნუ გიყვარს ჭირის გაადვილება! გემის დაღუპვაზე მეტი არ იქნება, თუ ჩვენ აქედან გუდა-ნაბადი აგვიკრეს. გაიგე, გუშინ კრებაზე რა უთქვამს მანუჩარ უგრეხელიძეს?

— რაო, რა მინდაო!

— საკოლმეურნეო წესდებას ერთი ახალი მუხლი უნდა დაემატოსო, — ჯავრიანად სთქვა ზარიძემ და თვალები ოდნავ მოჭუტა, თითქოს ტრიბუნასთან დამდგარ უგრეხელიძეს უყურებდა: — ერთი კოლმეურნეობიდან დათხოვნილი თავმჯდომარე მეორე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აღარ უნდა აირჩიონო! ხედავ, როგორ აუშვა ენა მანუჩარ უგრეხელიძემ, ორი კურდღლის დაჭერა უნდა, აქედანაც გაგიშვან და სხვაგან კარი არ გაგიღონ! ძალიან ჩეფიჩობს ამ ბოლო დროს, მაგრამ არა უშავს, ერთი ქორი ყველას ჩამოუვლის ცხოვრებაში!

— გიყურებ და ვერა გცნობ, ჩემო მოადგილეკ! მანუჩარის სიტყვას ბაკი არ ადევს. რასაც დააყრიან, იმასა ფქვავს! მაგისთანა ყბაღიას ყური არც უნდა დაუგდოს ჭკვიანმა კაცმა! — ისევ არხეინად მიუგო ანჩაშვილმა.

— მოდი და ნუ დაუგდებ! ჩოხელთან სწორედ ეგ სოლობრძენი მივარდნილა და ყელზე თოკი გამოუბამს, ხალხი გაერთიანებას მოითხოვსო...

— ვიცი მერაბ, ყველაფერი ვიცი!

— არ გეტყობა! — წაიღრინა ზარიძემ.

— მეტყობა თუ არ მეტყობა, ახლავე გამოჩნდება. დაჯექი და ყური დამიგდე.— დათას ისეთი იმედიანი კილო ჰქონდა, რომ ზარიძემ უნებურად გაიფიქრა, „გულს მიკეთებს, თუ მართლა დაუდგა თვალები და ხიფათს ვერ ხედავსო“...

მაინც დაჯდა, ხელები კეფაზე შემოიწყო და თავმჯდომარეს მიაჩერდა.

— რა დაგემართა, მერაბ! — შეუწყრა თავმჯდომარე! — სული სადა გაქვს, გამაგებინე! ცხვირში, თუ იქა, სადაც ღმერთმა ჩაგიდგა?!

ზარიძემ კვლავ ამოიხვნეშა და თავი ჩაჰკიდა. წითელმა დათამ კი რვეული გადაფურცლა და სთქვა:

— ამ პროცენტებს თუ გავყვებით, ტახტი, რა თქმა უნდა, ზაქარია ნადიბაიძეს უნდა დარჩეს, პურში ძალიან გვაჯობა ამ წელიწადს!

— რას გადამეკიდე, შე უღმერთო, მოგზავნილი ხომ არა ხარ! ჩემს გულს კიდევ ცეცხლის შენთება სჭირდება?!

თავმჯდომარემ ყური არ ათხოვა მეგობრის საყვედურს, მუხლზე ხელი დაადო, დამაცალე, ნუ გამიჯავრდებიო, და უშფოთველად განაგრძო:

— მაგრამ იბადება მესამე კითხვა! შეიძლება თუ არა ნადიბაიძეს გადავასწროთ, ჩვენი ხალხის გული მოვიგოთ და ჩოხელიც გავახაროთ! თუ ჩემი სიტყვა ჭკუაში დაგიჯდება, ნამდვილად შეიძლება!

ახლა კი მართლა გაუწყდა მოთმინების ძაფი მერაბ ზარიძეს. წამოვარდა, ქუდს ხელი დაავლო და თავმჯდომარეს თავზე დაადგა:

— დამცინი, დათავ?! შვიდი წელიწადი გავიდა „გლეხის იმედს“ ერთხელაც მხარი ვერ გავუსწორეთ! 60 ფუთი, 65 ფუთი, მეტი ვერ გაიმეტა ჩვენმა ყანა-მინდორმა. სასუქი კი არა, თუ გინდა ადექი და შენ თვითონ ნახნავში ჩაეტახე! ჩვენისთანა ზანტი მიწის პატრონი ბეღელს მაინც ვერ გაავსებს!

სასუქის ხსენებაზე წითელ დათას გულში გაეცინა, გაახსენდა, მამასისხლად ნაშოვნი მინერალური სასუქი რა თვალისწამში ჩარეცხა ხევში კოდიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა. მაგრამ ახლა გაჩუმება ამჯობინა ანჩაშვილმა. სიტყვა პირში არ შეატეხა ისედაც დაძმარებულ მოადგილეს.

— შენ კი ზღაპარს მეუბნები, ნადიბაიძეს გადავასწროთო! 60 ფუთით?! — იყვირა ზარიძემ და რვეული ხელიდან გამოსტაცა: — ამას რა ჭკუა ეკითხება! რატომ ის არ გახსოვს, რა ხვავი დააყენა ამ წელიწადს ზაქარიას პანტიშარამ! ჰექტარზე ასი ფუთი ხორბალი დააძახებინა! ასი ფუთი! იცი, ეს რამდენია?

— ვიცი, ჩემო მერაბ, სამოცზე მეტია და ასოცზე ნაკლები! — მშვიდად მიუგო ანჩაშვილმა და თავის უცნაურ პასუხს საიდუმლო ღიმილიც გაადევნა.

უზომოდ გაოცებული მერაბი სკამზე უღონოდ დავარდა.

— კი მაგრამ, მე რომ ხუმრობის გუნებაზე არა ვარ, ჩემო თავმჯდომარეკ! მე საქმეზე გელაპარაკები, შენ კი რაღაცას ბოდავ და ღობე-ყორეს ედები, რა მოხდა, წუხელ ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია! აბა, რა ეშმაკმა აგატროკა ამ დილა-ადრიანად!

— დაწყნარდი, მერაბ, მათქმევინე ჩემი სათქმელი! მე ისეთი უებარი წამალი ვიცი, 120 ფუთი ხორბალი ვითომ ჯიბეში გედოს! არა გჯერა? კარგად დამიგდე ყური. ამ შემოდგომაზე ჩვენ პური ხუთას ჰექტარზე უნდა დავთესოთ, არა?

— როგორც შარშან... — ცალუბად მიუგო ზარიძემ.

— ჩვენ კი შვიდასი ჰექტარი დავამუშაოთ! შვიდასი, შვიდასი! — წყნარად გაიმეორა ანჩაშვილმა, რადგან მერაბს თვალები უკვე გადმოცვენაზე ჰქონდა: — მხოლოდ ერთი პირობით: ეს ამბავი მარტო ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მე, შენ და ძეწნას ბიჭმა. იმ ორას ჰექტარს არც გეგმაში შევიტან, არც სხვა რაიმე საბუთს გავაკარებ! იქიდან შემოსული ხორბალი კი ამ ხუთას ჰექტარს დავაყაროთ! გაისად მთელ რაიონს ავალაპარაკებთ, ეგ რა სასწაული მოახდინეს, გეგმას გადააჭარბესო! მერე კი ვნახოთ, ვის დარჩება ბურთი და მოედანი. გაიგე, რას გეუბნები!

გაიგო, როგორ არ გაიგო, რა ცეცხლსაც ეთამაშება „გაზაფხულის“ თავმჯდომარე, მაგრამ სხვა გზა რომ არა სჩანს!

ზარიძე ერთი ხანი ჩუმად დასცქეროდა იატაკს და როგორც შუდამ სჩვეოდა, აფთიაქის სასწორზე სწონიდა თავმჯდომარის მოულოდნელ წინადადებას.

რა გველის ჭკუამ მოიგონა ასეთი რამ! მხოლოდ მაგარი ეს არის, ორასი ფარული ჰექტარი ასე ხელდახელ საიდან გააჩინონ, ან ისე როგორ დამალონ, რომ კუდი არ გამოუჩნდეს...

— არ გამოუჩნდება! — დაამშვიდა ანჩაშვილმა — წინაველის სათიბებს და მოლაურას ტყისპირებს ჭაობებში გადავწერ; ვინ ზომავს და ამოწმებს, სად რა მიწა დაგვიჭაობდა, სად რა სავარგული დაგვიჩაგრა ბუნებამ! შენ მხოლოდ წითელი დოლის თესლი მიშოვე, დანარჩენი ჩემზე იყოს.

— კარგი დათა, თანახმა ვარ! გინდ მგელს შევუჭამივარ, გინდ მგლისფერ ძაღლს! — უთხრა ზარიძემ.

— ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ! ჩოხელს ოღონდ პური მიეცი და, მერე ვინ დაეძებს, ის პური საიდან მოიყვანე და როგორ მოიყვანე! — მიუგო ანჩაშვილმა და მოადგილეს მხარზე ხელი დაჰკრა, გაამხნევა, შახი არ გაიტეხოო...

ამ დღიდან თითქმის ერთი წელიწადი რომ გავიდა, წიფლის წყაროს რაიონულ გაზეთში იქაური სოფლკორის წერილი დაიბეჭდა. — **კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ ნამდვილი გაზაფხული.**

წაგიკითხავთ რამდენიმე სტრიქონს.

„მიმდინარე წელს სამაგალითოდ იშრომეს კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ მხვნელ-მთესველებმა (თავმჯდომარე დ. ანჩაშვილი, პარტუჯრედის მდივანი მ. გომელაური). ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ ხსენებული „გაზაფხული“ ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა წიფლისწყაროს რაიონში. წლიდან წლამდე ვერ ასრულებდა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმას. გვახსოვს ისეთი წელიწადიც, როდესაც შრომადღეზე მხოლოდ ორასი გრამი მარცვალი ნაწილდებოდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეურიგდნენ ამ უმსგავსო მდგომარეობას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს შრომის დისციპლინის დამრღვევებს, მუქთახორებს, ზარმაცებს, გულმოდგინედ შეისწავლეს მოწინავე კოლექტივების გამოცდილება და შედეგმაც არ დააყოვნა, — მომდინარე წელს პურის არნახული მოსავალი მოიწიეს და პირველი ადგილი დაიკავეს რაიონის კოლმეურნეობებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს დიდი გამარჯვება გუშინ, კოლმეურნეობა „გაზაფხულის“ საერთო კრებას პირადად მიულოცა ჩვენი რაიკომის პირველმა მდივანმა სიმონ ჩოხელმა და მოწინავე კოლმეურნეებს ფასიანი საჩუქრები და ქების სიგელები გადასცა“.

და კიდევ იცით, რა მოხდა?

ამ გამარჯვებამ ჩოხელს ახალი საფიქრალი გაუჩინა. დაფრთხა კაცი, ვაი-თუ „გაზაფხულის“ კოლმეურნეობას კარგად აწყობილი საქმე აერ-დაერიოსო. ამიტომ ადგა და სამი კოლმეურნეობის გაერთიანების საკითხს თავი დაუკრა, — მისი განსჯა-გადაწყვეტა სამერმისოდ გადადო.

მალე სამამულო ომიც დაიწყო და სოფელს სხვა საგონებელი მიეცა...

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

დახმარება კოსმოსიდან

სსრ კავშირი. ახლახან ბრიტანეთის კოლუმბიის ტერიტორიაზე ავარია მოუვიდა კანადის თვითმფრინავს. ეკიპაჟის გადარჩენა შესაძლებელი გახდა „კოსმოს-1383“ საბჭოთა თანამგზავრის დახმარებით, რომელმაც კატასტროფის ზუსტი კოორდინატები განსაზღვრა. აქამდე კატასტროფაში მოხვედრილებს SOS სიგნალებით ეძებდნენ, მაგრამ რადიოსიგნალი მხოლოდ 200 კილომეტრ მანძილზე აღწევს;

კატასტროფის მსხვერპლთა დროული პოვნისათვის სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და საფრანგეთმა შეიმუშავეს კოსმოსური სისტემა „კოსპას-სარსატი“. ამ სისტემის აპარატები 1000 კილომეტრ სიმაღლეზე დაფრინავენ და მათი საშუალებით დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან შეიძლება ავარიული სიგნალების მიღება.

„მფრინავი თეფშები“ ინგლისის ცაში?

ინგლისი. 1982 წლის 11 დეკემბერს ლანკაშირის საგრაფოს (ინგლისის ჩრდილო-დასავლეთი) ათობით მცხოვრებმა აცნობა მთავრობის ორგანოებს, რომ საღამო ხანს სამი უჩვეულო მნათი ობიექტი დაინახეს. ეს უცნობი მფრინავი ობიექტები ფორმით სამკუთხედებს ჰგავდნენ და ცაში ნელი მოძრაობისას მრავალფერად ელვარებდნენ.

უცნაური სამკუთხედები ქალაქ ლანკასტერის, მერკამის, ნეიშემის და კარნფორტის მიდამოებში შეამჩნიეს. ამიდან 11 დეკემბერს ძალზე ცვალებადი იყო. ობიექტების წარმოშობას ადგენენ.

ქონდრისკაცი იუკოსები

კოლუმბია. სულ ცოტა ხნის წინათ კოლუმბიისა და ვენესუელის საზღვარზე ნახევრადცივილიზებული ტომი „იუკოსი“ აღმოაჩინეს. იუკოსები სიმაღლით 1 მეტრს აღწევენ, მათ აქვთ ძლიერი, ჩაფსკვნილი და დაკუნთული სხეული, ძალიან გრძელი კიდურები, მომგოლოიდური ნაკვთები და შოკოლადისფერი კანი.

იუკოსების ოჯახი ოთხი-ხუთი სულისაგან შედგება. „ცოლის პრობლემა“, ქალთა მცირერიცხოვნობის გამო პრეტენდენტთა შებრძოლებით გადაწყდება ხოლმე.

ქონდრისკაცები ძირითადად უმ ან მოხარშულ სიმინდს და მშვილდ-ისრით ნაშოვან ხორცს ჭამენ. ლითონის არსებობის შესახებ ამორიგენებმა არაფერი იციან.

კიდევ ერთი ეფექტიანი ძრავა

აშშ. „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმამ შეიმუშავა ექსპერიმენტული ძრავა „ოგტ-ნ“ მხუბუქი მანქანებისათვის.

ძრავის თავისებურება ის არის, რომ ქვანახშირის მტვრით მუშაობს. ცდებით დადასტურდა, რომ მახასიათებლებითა და ეკონომიურობით ახალი ძრავა არსებულ რვაცილინდრიან ბენზინის ძრავებს არ ჩამოუვარდება.

ფუნქციისებრი საწვავის მიწოდება შეკუმშული ჰაერის მეოხებით ხდება.

საწვავის ულუფის მიწოდებასთან ერთად ინთება ელექტრონაპერწკალი, რაც უზრუნველყოფს ადუღების სისტემის მუშაობას. ძრავის სრულყოფა გრძელდება.

მოცარტის უკვდავი მუსიკის თაყვანისმცემლებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს: დანის ქალაქ ოდენსის რატუშის არქივებში ნაპოვნია კომპოზიტორის სიმფონიის ორიგინალი, რომელსაც თითქმის 200 წელს ეძებდნენ.

გულმოდგინე გამოკვლევით დადასტურდა, რომ ეს ორიგინალი ნამდვილად დედანია. გარდა ამისა, ისიც გაირკვა, რომ ეს ნაწარმოები 1765 1768 წლებში შექმნილა. გაზეთ „ფიუნს ტიდენდეს“ აზრით, კომპოზიტორის ეს ადრეული ნაწარმოები 1793 წელს შეუძენია ოდენსის სამუსიკო საზოგადოებას.

სურათზე: ცნობილი დანიელი მუსიკათმცოდნე პეტერ ლარსენი სიმფონიის ორიგინალით ხელში.

ასოციეიტედ პრეს — საქდესის ტელეფოტო.

ესეც შენი ჩალის ფასად

დანია. ნავთობის პროდუქტების გაძვირების გამო ევროპის ფერმერებში ნავთობის ხათობი თანდათან ჩალის ბრიკეტებით იცვლება.

უკვე დაიწყო სპეციალური ორთქლის ქვაბების სერიული გამოშვება. როგორც სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, ახალი ენერგიის წყარო თითოეულ ფერმას 17.828 ვირვანქა სტერლინგს დაუზოგავს.

ჩეხოსლოვაკიაში

დიდად პოპულარულია ჯუჯა ხეების — ბონსაის გაშენება. ამ რამდენიმე წლის წინათ პრაღაში შეიქმნა საზოგადოება, რომელიც ამჟამად 500-ზე მეტ კაცს აერთიანებს. ამ უჩვეულო მცენარეს ყოველწლიურად უჩვენებენ გამოფენებზე, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში იმართება. დამთვალიერებლებს დაწვრილებითს ინფორმაციებს აწვდიან ბონსაიზე — რთულ ხელოვნებაზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩაისახა თითქმის 1700 წლის წინათ, საკმარისია ითქვას, რომ ხეს უნდა ჰქონდეს ბონსაისთვის დამახასიათებელი ხუთი ფორმიდან ერთ-ერთი. ამ ფორმას იღებენ სპილენძის მავთულის შეშვეობით, რომელსაც ტოტებზე ან მთავარ ღეროზე ახვევენ ზრდის პროცესის შესაფერხებლად. მავთულს, ჩვეულებრივ, 16 კვირის მანძილზე არ ხსნიან. არის ბონსაის ტრადიციული ფორმის მიღების ხსვა გზაც — „დაჭიმვა“, — როცა ხის ტოტებზე პატარა გირვანქებს კიდებენ. გამოფენების ორგანიზატორები ცდილობენ შექმნან ხის ახალი ფორმები და თავიანთი საყვარელი შემოქმედებისათვის „მოაშენაურონ“ ახალი სახეობანი.

სურათზე: პრაღის გამოფენის ხტუმრები ხეებს ათვალიერებენ.

ჩტკ-საქდესის ფოტო.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

წარმოვაჩინოთ „ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლი“

ბაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში **„ნუ გადავდებთ ეროვნულ საქმეს“** შ. ძიძიგურმა, ალ. ბარამიძემ, გ. შარაძემ და ე. მაღრაძემ ფრიად დამაჯერებლად დაასაბუთეს ჩვენი კლასიკოსების აკადემიური გამოცემის გადაუდებლობა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტოოდენ კლასიკოსების აკადემიური გამოცემით არ ჩამოვრჩებით საერთო-საკაცობრო დონეს. მინდა ყურადება გავამახვილო ზოგიერთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზეც, რომელთა შესახებ ლიტერატურათმცოდნეთა დასახელებულ წერილში გაკვრით არის ლაპარაკი ან სრულიად არაფერია ნათქვამი.

კლასიკოსების თხზულებათა მეცნიერული, კომენტირებული, სრული ტექსტების გამოცემა უდავოდ ჩვენი მწერლობის საფუძვლიანი შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი პირობაა. ცნობილია, რომ მწერლის შემოქმედება, ჩვეულებრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ცხოვრებასთან (ზოგჯერ განსაირობებს კიდევაც); ავტორის ბიოგრაფია დიდად გვეხმარება ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიისა და შინაარსის გარკვევაში. ამიტომ აუცილებელია გვქონდეს ქართველ მწერალთა სრული ბიოგრაფიები.

როგორც ვიცით, არსებობს თითქმის ყველა რუსი კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, რომლის მიხედვითაც მკითხველი ეცნობა კლასიკოსთა მოღვაწეობას ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წლების, თვეების, დღეებისა და ზოგჯერ საათების მიხედვითაც კი. სამწუხაროდ, ასეთი მატიანეები ქართველ კლასიკოსებზე არა გვაქვს (ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას [გარდა).

უკვე დიდი ხანია ცალკ

ГЕОРГИЕВСКИЙ ТРАКТАТИС 200 ЭЛИСТАВИСАТВИС

САМЕНОВАНИ „ВЕФХИСТЯОСАНИ“

საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის ფილიალი (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი — გ. კანდელაკი) ვაჟა-ფშაველას გამბირზე მდებარეობს. ეს შენობა თავისი არქიტექტურით საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობაა.

„მელოდიის“ კოლექტივმა ახლახან მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეოდ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე აამეტყველონ შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

სამივე ენაზე პოემის კომპოზიცია შეადგინა ც. კარბელაშვილმა. ტექსტს კითხულობენ საქართველოს სახალხო არტისტი გ. საღარაძე და მონაწილეები სტუმრები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ულიანოვი და ინგლისური ენის სპეციალისტი ჯ. სკრივენერი. ბუკლეტის ტექსტი ეკუთვნის კ. იმედაშვილს. მხატვრული გაფორმება — ბ. გაგნიძეს. ალბომში ჩართული იქნება XII-XIII საუკუნეების საქართველოს უნიკალურ ძეგლთა ფერადი ფოტოები. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ავტორია ს. ქობულაძე.

პოემის რუსული თარგმანი ეკუთვნის ნ. ზაბოლოცკის, ხოლო ინგლისურისა — მ. უორდროპს.

ჩაწერა მარტის თვეში დასრულდება. „ვეფხისტყაოსნის“ სამენოვანი ფირფიტა კარგი საჩუქარი იქნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საზეიმოდ მოწვეული სტუმრებისათვის.

ი. ცხვედიანი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

„თეთრი მდუმარება“ მუხრანში.

არსენ ჩარკვიანის ფოტო.

„გაზაფხული“ დეკემბერში დაბრუნდა

25 იანვარს გაზეთებში გამოქვეყნდა საკდისის კორესპონდენტის ვ. იანოვსკის ინფორმაცია „ერთგულების გაკვეთილი“. მასში ნათქვამი იყო, რომ აღმოსავლეთევროპული ჯიშის ნაგაზი „ვესნა“ კუიბიშევიდან ბელორუსიის ქალაქ მოზირში ჩავიდა და თავისი პატრონი იპოვა, რედაქციაში ბევრი წერილი მოვიდა, მათი ავტორები თხოულობენ დაწვრილებით ვუამბოთ ეს ამბავი.

მოზირის ავტოსარემონტო ქარხნის მუშას ვიაჩესლავ სტრუპოვეცს არასოდეს დაავიწყდება 1982 წლის 31 დეკემბერი, „ვესნა“ რომ ეწვია.

ახალი წლის წინა დღეს მოზირის ქუჩაში მიმავალს ძაღლი მიუახლოვდა და თავი მუხლებზე მიადო. ეს გაქუცული ძაღლი სრულიადაც არ ჰგავდა ნაპატიებ ნაგაზს, რომელიც 1979 წელს მან კუიბიშევში დატოვა.

ეს მაშინ მოხდა ვიაჩესლავის მშობლებმა ვოლგისპირა ქალაქიდან ბელორუსიაში ოჯახის უფროსის დურგლ ა. სტრუპოვეცის სამშობლოში გადასვლა რომ გადაწყვიტეს. „ვესნა“ დროებით მეზობლებს დაუტოვეს.

შემდეგ ვიაჩესლავს თავის თავისათვის ვერ ეპატიებინა ის, რომ გამგზავრების წინ, ფაციფუცში ძაღლს არ დაუბარა ერთადერთი სიტყვა: „მელოდე!“ ისინი მუდამ ასე იქცეოდნენ: როცა პატრონი შინიდან მიდიოდა ხოლმე, აუცილებლად უბარებდა ძაღლს „მელოდეო“.

ამჯერად კი სულ რამდენიმე დღით მიემგზავრებოდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ „ვესნა“ ასე მოიქცეოდა? როგორც ჩანს, მას მოეჩვენა, რომ დიდი ხნით განშორება მოელოდა. ძაღლს საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ვიაჩესლავმა შვებულება აიღო, რათა მშობლებს ახალ ადგილზე დაბინავებაში დახმარებოდა...

ახლა ვიაჩესლავი 26 წლისაა. „ვესნა“ მას სკოლიდან, მეშვიდე კლასიდან ჰყავს. ლეკვმა თვითონ აირჩია პატრონი, როცა ჯერ კიდევ თვალაუხილავი იყო.

სიტყვა „მელოდე“ მაგიურად მოქმედებდა ძაღლზე. ყოველ ზაფხულს მოთმინებით ელოდა ხოლმე ვიაჩესლავის პიონერთა ბანაკიდან დაბრუნებას, ხოლო, როცა დრო დადგა და მისი პატრონი არმიაში გაიწვიეს, ძაღლი, მართალია, დარდობდა, მაგრამ შინიდან არ გადიოდა.

... ვიაჩესლავმა მშობლები ახალ სახლში დაბინავა და კუიბიშევში დაბრუნდა. აქ მას მეზობლებმა ამბავი დაუხვედრეს: „ვესნა“ საღაც გაქრაო“ და თავის გასამართლებლად გაწყვეტილ ჯაჭვს უჩვენებდნენ.

ვიაჩესლავი კიდევ ორ წელიწადს ცხოვრობდა და მუშაობდა კუიბიშევში, მერე მშობლებთან გადასახლდა...

და ეს მოულოდნელი შეხვედრა ქუჩაში! ახლა სტუდენტია კიდეც „ვესნა“ რომ ვერ იცნო. უნდოდა გაეგდო, მაგრამ ძაღლის თვალებში იყო რაღაც ისეთი, რამაც შეაჩერა. ვიაჩესლავი ჩაცუცქდა და ძაღლი ისევე, როგორც ოდესღაც, მხრებზე შეახტა.

მაინც, როგორ იპოვა „ვესნამ“ ვიაჩესლავი სამი წლის ხეტიალის შემდეგ? ეს კითხვა ბევრს დაებადა. ვიაჩესლავის მეზობლები ფიქრობენ, რომ ყველაფერში „დამნაშავეა“ ანტონოვსკის ჯიშის ვაშლები, რომელთაც ნათესავები ხშირად აგზავნიდნენ მოზირიდან კუიბიშევში. ძაღლი შეეჩვია მის სურნელებას, და, ალბათ, ასე იგზებდაო გზას.

კინოლოგები კი იმ აზრისანი არიან, რომ ეს ფენომენი — წინამძღოლის გამოდევნების ინსტინქტი, ძაღლს მისი წინაპრისგან — მგლისგან გამოჰყვა. ამ შემთხვევაში ძაღლისთვის წინამძღოლი მისი პატრონი იყო.

რაც შეეხება თვით ვიაჩესლავს, იგი ყოველივეს ერთგულებით ხსნის.

ვ. იანოვსკი,

მოზირი, ბელორუსიის სსრ.

(საკდისის კორ.).

ДИДДОВОЛОБА АЖАРАШИ

МАРТИ ажарашиа даиwуа газаифхулули сурнелеиг, тоги ипиреиг да мореиг рицхебши тбили дღебиг, холоа роца ჩრდილოეთიდან წამოსულმა ციკლონმა გადმოინაცვლა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსაკენ, თავდაპირველად ამან მხოლოდ სპეციალისტი მეტეოროლოგები შეაწუხა.

3 მარტს მკვეთრად აცივდა — ажараши даиwуа ცივი ჰაერის მასების შემოჭრა. 4 მარტს ღამით ტემპერატურამ ნულ გრადუსამდე დაიწია და დაიწყო ძლიერი თოვა. 5 მარტის 12 საათისათვის თოვლის საფარის სისქემ ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ნაწილში 45-50 სანტიმეტრს მიაღწია, ხოლო მთის ტალოებზე, სადაც ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებია, ეს სიმაღლე 1 მეტრამდე.

თოვა არ წყდება. ...ზებით ჰაერის ტემპერატურა 6 მარტს ажараши სანაპირო ნაწილში даиwуа მინუს 4-5 გრადუსამდე, მთის რაიონებში კი 10-12 გრადუსამდე. დიდთოვლობა მარტში ажараши შავი ზღვის სანაპიროსათვის საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა, 1971-1972 წლებიდან. იგი აქ არ ყოფილა შემჩნეული.

ი. დიასამიძე,

ажараши ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

САТУРНИРО ОРБИТА

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვში დაიწყო დეკემბრის თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული მატჩი სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ასპარეზობის პირველ დღეს გათამაშდა ერთეულთა შეხვედრები, რომლებიც ფრანგებმა მოიგეს: იანიკ ნოამ დაამარცხა კონსტანტინე პუგაევი — 6:4, 6:4, 6:4, ანრი ლეკონტმა კი ვადიმ პორისოვი — 13:11, 6:2, 6:2.

ᲫᲐᲚᲝᲣᲚᲝᲑᲐ. ოდესაში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე 90 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში გროზნოელმა ი. არსამაკოვმა ორჭიდში 400 კგ. დაძლია. 100 კილოგრამამდე ათლეტებს შორის თავი ისახელა დიმიტროვგრადელმა იური ზახარევიჩმა. მან სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ატაცში — 200 კგ, აკვრაში— 240, ორჭიდში — 440 კგ.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვში გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების (საუკეთესო ექვსეული) საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. შეჯიბრების მესამე დღეს შეხვედრები ასე დამთავრდა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-მოსკოვის „დინამო“ — 9:8, მოსკოვის უნივერსიტეტი-თბილისის „დინამო“ — 11:6, ალმა-ათის „დინამო“-მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 7:6.

ᲨᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ. საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალში გუნდები ასე განაწილდნენ: ცსკა —დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ხარკოვის „მეტალისტი“ — ქუთაისის „ტორპედო“, ლენინგრადის „ზენიტი“ — კიევის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“ —დონეცკის „შახტიორი“. წილისყრით მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მასპინძლობით (11 მარტს).

ᲛᲫᲚᲝᲜᲚᲝᲑᲐ. ბუდაპეშტში დაიწყო ევროპის ზამთრის ჩემპიონატი. ლატვიელმა იანის ბოიარსმა ამ შეჯიბრებაზე ბირთვი 20 მეტრსა და 56 სანტიმეტრზე სტყორცნა და ოქროს მედალს დაეუფლა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ლენინგრადელ ალექსანდრე ბარიშნიკოვს (20,44 მ), ბრონჯაოსი — იუგოსლავ სპორტსმენს ივანე ივანჩიჩს (20,26 მ).

Გ. Დ. ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული და სამეურნეო მუშაკი, 1930 წლიდან სკკპ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გრიგოლ დუტუს ძე **ჩაჩიბაია.**

გ. ჩაჩიბაია დაიბადა 1906 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ კიწიაში. გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო. შემდეგ სწავლობდა სენაკის საშუალო სკოლაში, რომელიც 1925 წელს დაამთავრა.

გ. ჩაჩიბაიამ ადრევე დაიწყო შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი 1921 წელს შედის კომკავშირის რიგებში. 1924 წლიდან მუშაობდა კომკავშირის დიდი ჯყონის რაიკომის მდივნად. აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკთა ავანტიურისტული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1926 წელს გადაჰყავთ კომკავშირის სენაკის სამაზრო კომიტეტში. 1928 წელს იღებენ პარტიის წევრობის კანდიდატად და ნიშნავენ პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის სიინფორმაციო განყოფილების გამგედ, 1929 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გადაჰყავთ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში.

1930 წელს სამუშაოდ გაიგზავნა ჯერ პარტიის წალენჯიხის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ ამავე თანამდებობაზე — პარტიის ბაღდადის რაიკომში. 1931 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით იგზავნება ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად.

შემდგომ წლებში სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, ქ. თბილისში, რომელიც 1934 წელს დაამთავრა. იმავე წელს ინიშნება პარტიის მარტვილის (ამჟამად გეგეჭკორის) რაიკომის პირველი მდივნის მოადგილედ. 1937 წლის სექტემბერში გ. ჩაჩიბაია აირჩიეს საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც 1951 წლის ნოემბრამდე მუშაობდა. სწორედ აქ გამოვლინდა განსაკუთრებით გ. ჩაჩიბაიას დიდი ორგანიზატორული ნიჭი.

1953-1957 წლებში გ. ჩაჩიბაია მუშაობდა „საქტუნგის“ ტრესტის მმართველად, ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის დირექტორად, კინდღის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, ხოლო 1957 წლის იანვრიდან 1974 წლის მარტამდე იგი იყო ანჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი. 1974 წლიდან გ. ჩაჩიბაია პენსიაზე იმყოფებოდა.

გ. ჩაჩიბაია 1938 წლიდან 1952 წლამდე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო სკკპ XVIII ყრილობის დელეგატი.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს გ. ჩაჩიბაიას ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის 1 ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, მრავალი მედლით, 1950 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური წოდება.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან პრინციპული კომუნისტი, შესანიშნავი მამულიშვილი, უაღრესად გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანი, მეგობარი და ამხანაგი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავია.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორი

Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, შრომის ვეტერანი

ᲡᲝᲤᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲮᲣᲚᲘ

ᲙᲝᲒᲐᲚᲐᲫᲔ — ᲒᲝᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ-ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲑᲘ ᲘᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲒᲝᲡ ᲨᲐᲠᲐᲛᲝᲨᲝᲒᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲖᲔ

25 იანვარს გაზეთებში გამოქვეყნდა საკდისის კორესპონდენტის ვ. იანოვსკის ინფორმაცია „ერთგულების გაკვეთილი“. მასში ნათქვამი იყო, რომ აღმოსავლეთევროპული ჯიშის ნაგაზი „ვესნა“ კუიბიშევიდან ბელორუსიის ქალაქ მოზირში ჩავიდა და თავისი პატრონი იპოვა. რედაქციაში ბევრი წერილი მოვიდა, მათი ავტორები თხოულობენ დაწვრილებით ვუამბოთ ეს ამბავი.

— ჯერ იმას მოგახსენებთ, როგორ შეუდექით ამ საქმეს, — თქვა მეცნიერმა. — დასაწყისად, ალბათ 1968 წელი უნდა მოვიჩინოთ, როცა გ. მრევლიშვილთან ერთად აღმოვაჩინეთ, რომ, თურმე, უჯრედს გარშემორტყმული წყლის თხელი ფენის თვისებები და მოლეკულური სტრუქტურა მკვეთრად იცვლება სიმსივნური ზრდის დროს. სწორედ ამ მოვლენის აღმოჩენა დაედო საფუძვლად ამერიკის შეერთებულ შტატებში შემდგომ შემუშავებულ კიბოს აღრეული დიაგნოსტიკის მეთოდს. დაახლოებით იმავე ხანებში ლ. მოსულიშვილთან ერთად დავადგინეთ, რომ ზოგიერთი ლითონის კონცენტრაციის შესაძრწენი ზრდის ტენდენცია შეინიშნება ავთვისებიანი უჯრედებიდან გამოყოფილ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის მოლეკულებში.

— რა მეთოდებით გახდა შესაძლებელი ამ მოვლენათა შემჩნევა და დადგენა?

— პირველ შემთხვევაში ჩვენს ინსტიტუტში შექმნილი მიკროკალორიმეტრიული მეთოდი გამოვიყენეთ. ამ მეთოდით შეიძლება შევამჩნიოთ ბიომოლეკულებსა და წყლის მოლეკულებთან მათს კომპლექსებში მომხდარი სითბური თვისებების უმცირესი ცვლილებებიც კი.

მეორე შემთხვევაში მიკმართეთ ბირთვულ რეაქტორს, სადაც მოლეკულების, უჯრედებისა და ქსოვილების პრეპარატებს ვასხივებდით და ამით ხელოვნურად ვანიკვეთდით მათ რადიოაქტიურ თვისებებს. შემდეგ ვიკვლევდით რადიოაქტიურად გარდაქმნილი ბირთვებიდან და ატომებიდან გამომდინარე გამა-სხივების სპექტრებს. ამგვარი მეთოდით მიღებული შედეგების სიზუსტე დიდად აღემატება ქიმიური ანალიზის გზით მიღებული შედეგების სიზუსტეს.

— რა გავლენას ახდენს ორგანიზმზე უჯრედის გენეტიკურ აპარატში ლითონების კონცენტრაციის გაზრდა?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავთვისებიან წარმონაქმნებს — კიბოს, სარკომას, ლეიკოზს — თან სდევს ყველა ორგანიზმში არსებული ეფ ბევრი სასარგებლო ფუნქციის მქონე მიკროელემენტის მეტაბოლიზმის მკვეთრი დარღვევა. ასეთი ლითონებია: მანგანური, კობალტი, ნიკელი, ქრომი და ასე შემდეგ. ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდისას ამ ლითონების კონცენტრაცია მკვეთრად იზრდება და აკარებს ფიზიოლოგიურად დადგენილ ნორმას. მეტაბოლიზმის დარღვევა ეხება მიკროელემენტებსაც; კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, კალიუმს და სხვა, რომელთა მნიშვნელობაც საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ და ამიტომაც ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ლითონთა მეტაბოლიზმის დარღვევა შეინიშნება ბიოლოგიური ფუნქციონირების ყოველ დონეზე, დაწყებული მაკრომოლეკულე ბ ი თ, დამთავრებული ორგანოებითა და ორგანიზმებით.

— გვითხარით, რა არის თქვენი კონცეფციის არსი?

— კიბო, როგორც ცნობილია, იწყება უჯრედის გენეტიკური აპარატით, კერძოდ, მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილით — დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) მოლეკულით, რომელშიც მთელი მემკვიდრეობითი ინფორმაციაა თავმოყრილი. ოღონდ მე შევისწავლი ავთვისებიანი ზრდის ისეთ ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია გენეტიკურ აპარატში ლითონების ჭარბ რაოდენობასთან. კონცეფციის თანახმად, ლითონის იონსა და დნმ-ის მოლეკულის შემადგენელ ერთერთ ძირითად „საშენ ელემენტს“ შორის ხდება ქიმიური რეაქცია. დნმ-ის მოლეკულაში ოთხი სხვადასხვა სახის ასეთი „საშენი ელემენტი“ ანუ ნუკლეოტიდია. ნუკლეოტიდების მიმდევრობა განსაზღვრავს გენეტიკურ კოდს და, მაშასადამე, იმ ცილების თვისებებსაც, რომლებიც ამ გენეტიკურ კოდს შეესაბამება.

ლითონის იონისა და რომელიმე ნუკლეოტიდის რეაქცია იწვევს წერტილოვან მუტაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ლოკალურად იცვლება დნმ-ის თვისებები ისე, რომ ნუკლეოტიდი, რომელსაც მიეერთდა ლითონის იონი, იძენს სხვა ნუკლეოტიდის თვისებებს. ასე ხდება დნმ-ის მოლეკულაში „ჩაწერილი“ კოდის წერტილოვანი ცვლილება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ცვლილებებს ცილის მოლეკულებში (ცილების ასეთ ცვლილებას ონკოცილებს უწოდებენ). ამ დროს წარმოიქმნება ავთვისებიანი უჯრედები, სრულიად ირღვევა მათში მიმდინარე პროცესებს შორის არსებული წონასწორობა.

ჩვენი კონცეფციის საბოლოო ჩამოყალიბებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, გასული წლის მიწურულს, ამერიკელ მეცნიერთა ორმა ჯგუფმა შეძლო ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედების დნმ-ში წერტილოვანი მუტაციის აღმოჩენა და ასეთ დნმ-ზე სინთეზირებული ონკოცილების თვისებების შესწავლა, მაგრამ მუტაციის მექანიზმის ახსნა მათ ვერ მოახერხეს.

— ექსპერიმენტით თუა დადასტურებული თქვენი თვალსაზრისი?

— რა თქმა უნდა. ჯ. მონასელიძისა და მისი ჯგუფის მიკროკალორიმეტრის მეთოდით მოწყობილმა შესანიშნავმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ, ერთი მხრივ. ავთვისებიანი ქსოვილებისა და ნორმალური ქსოვილების დნმ-ები, ხოლო, მეორე მხრივ, ლეიკოზიანი და ნორმალური უჯრედების სითბური თვისებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ ექსპერიმენტების შედეგები სავსებით ადასტურებს ჩვენს კონცეფციას.

— თქვენი მოხსენების გამო მედიცინის ფუნდამენტური პრობლემების ხაუფუებათაშორისო კომისიის დადგენილებით არაერთი ლონისძიებაა დასახული, რათა მომავალში საქმე უკეთ წარმართოს. მათ შორის — ეთხოვოს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, დაამტკიცოს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის „ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების“ სამეცნიერო საბჭოსთან საკავშირო მნიშვნელობის „სიმსივნის ზრდის ბიოფიზიკის“ საპრობლემო კომისია; სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ეთხოვა, რომ ის დაწესებულებანი, რომლებიც სიმსივნის ზრდაში თუთიის მნიშვნელობას იკვლევენ, თუთიის მშთანთქმელი აუცილებელი პრეპარატებით უზრუნველყოს; განსაზღვრულია „სიმსივნის ზრდის ბიოფიზიკის“ პრობლემაზე მუშაობის მატერიალური უზრუნველყოფის გზები; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეთხოვა გაითვალისწინოს ვეკარიუმის მშენებლობა სამეცნიერო-მოლეკულური დაწესებულებებისათვის. გარდა ამისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს დაევალა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ონკოლოგიურ სამეცნიერო ცენტრთან ერთად გამოიკვლიოს ლეიკოზების დიაგნოსტიკაში კალორიმეტრული მეთოდის გამოყენების საზღვრები და შესაძლებლობები. არის თუ არა დღეისათვის ავთვისებიანი დაავადებების დიაგნოსტიკის სხვა ახალი მეთოდები?

— აღრეულ დიაგნოსტიკას შეიძლება საფუძველად დაედოს მიკროელემენტების კონცენტრაციის განსაზღვრა იმ ორგანოებში, სადაც უფრო ალბათურია სიმსივნის წარმოქმნა, ვთქვათ, კუჭის წყლული, რომელიც ხშირად არის კიბოს წინა პერიოდი, თამბაქოს მწეველთა ფილტვები და ა. შ. გარდა ამისა, ზოგიერთი მიკროელემენტის, მაგალითად, თუთიის, სპილენძის კონცენტრაციის შეცვლა ლეიკოზით დაავადებულთა სისხლში საშუალებას იძლევა კონტროლი გავუწიოთ ჩვეულებრივი მეთოდებით მკურნალობას, შესაძლებელს ხდის განსაზღვროთ რეციდივის მოვლენა.

— დაბოლოს: საბჭოს დადგენილებაში ლაპარაკია მკურნალობის მეთოდებზე, რომლებიც ავადმყოფის ორგანიზმიდან თუთიის გამოდევნას გულისხმობს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თუთია ყველაზე კანცეროგენული ნივთიერებაა?

— არა, თუკი თუთია კანცეროგენულია, მისი კანცეროგენულობის დონე შედარებით ნაკლებია. ის კი უეჭველია, რომ უიმისოდ არ ხდება უჯრედის დაყოფა არა მარტო სიმსივნურ ქსოვილებში, არამედ ემბრიონულ და მოზარდის ქსოვილებშიც. თუთია ასევე აუცილებელია ნებისმიერი ორგანიზმის დაზიანებული ქსოვილის რეპარაციის დროსაც. მაშ, რადგანაც კიბო, უპირველეს ყოვლისა, უჯრედების უკონტროლო, ძალიან სწრაფი, ქაოსური გაყოფაა, საჭიროა ამ პროცესის შეწყვეტა. თუთიის დეფიციტის მიღწევა ავთვისებიანი სიმსივნის მატარებელ ორგანიზმში ნაწილობრივ მისი მიწოდების შეწყვეტითაც ხერხდება. გარდა ამისა, ორგანიზმიდან თუთიის გამოდევნა სპეციალური პრეპარატებითაც შეიძლება. ამ პრეპარატებს „კომპლექსონებს“ უწოდებენ. ჩემი რეკომენდაციით ასეთი ექსპერიმენტები ცხოველებზე უკვე ხორციელდება პროფესორ ნ. დიატლოვას ლაბორატორიაში, აგრეთვე ერთობლივად — მოსკოვის რეაქტივების და განსაკუთრებულად წმინდა ქიმიური ნივთიერების ინსტიტუტსა და ბიოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მიღებულია საკმაოდ კარგი და იმედის მომცემი შედეგები.

კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა და მისი წარმატებით გადაჭრისათვის, მედიცინის დარგის მუშაკებთან, მეცნიერ მედიკოსებთან ერთად, კვლავაც დიდი გარჯა და მეცადინეობა მართებთ სხვა დარგის სპეციალისტებს, მათ შორის მეცნიერ ფიზიკოსებსაც.

მკერა, რომ, თუკი აუცილებელი პირობები შეიქმნება, ჩვენი რესპუბლიკაც შეძლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ ოდენ დიდი პრობლემის გადაწყვეტაში.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲓᲕᲔᲕᲐ: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?

ᲙᲐᲠᲚᲝ ციკნელიძეს — მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მკვიდრს, თავი უთუოდ მოხერხებულ ადამიანად მიიჩნდა, როცა მის ხელთ აღმოჩნდა სასაქონლო ზედნადების სუფთა ფურცელი. მასში ტვირთის მიმღებად საკუთარი გვარის ჩაწერა იოლი საქმე გახლდათ.

შემდეგ, როგორც კარლო ფიქრობდა ...კიდეც, ყველაფერი უფრო იოლად მოხდა. იგი სადგურ სუფსაში გამოცხადდა და სასაქონლო ზედნადები წარადგინა. დაუბრკოლებლად მიიღო 42 ტონაზე მეტი მარცვლის ნაკმახი, რომელიც მის მშობლიურ კოლმეურნეობას ეკუთვნოდა.

ციკნელიძემ ვერ მოასწრო თავისი ქმედების დაფარება. ამ ძვირფასი ტვირთის შინ მიტანა კი მოასწრო, მაგრამ ფეხდაფეხ მილიციის მუშაკებიც მიაყვნენ. ნაკმახი ჩამოართვეს და მის ფაქტობრივ პატრონს — კოლმეურნეობას დაუბრუნეს.

ძნელი არ არის ვიწინასწარმეტყველოთ, თუ უახლოეს ერთი ორ წელიწადს სად მოუწევს კარლო ციკნელიძეს ყოფნა. მაგრამ ძნელი გასაგებია, თუ საიდან აღმოაჩინდა კოლმეურნეობის წევრს სასაქონლო ზედნადების სუფთა ბლანკი.

ᲥᲐᲚᲐᲫᲔ ფოთის სანეპიდსადგურის ინსტრუქტორი იზოლდა ტუღუში აეროფლოტის მომსახურებით სარგებლობდა. ხობის საგზაო-საწარმოო უბნის მშენებელ ოსტატ ანზორ სანაიას კი უფრო რკინგზის ტრანსპორტი ერჩინა. ამ განსხვავების მიუხედავად მათ, ერთმანეთისათვის უცნობ ადამიანებს, ერთნაირი „გაბიცეები“ ჰქონდათ. ორივე მოსკოვში დადიოდა, იქ სამრეწველო საქონელს იძენდა, შინ მიჰქონდა და ხელსაც კარგად ითბობდა.

ტუღუშიც და სანაიაც, როგორც ქორვაჭრები, დააკავეს საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა. მათი დანაშაულის სიმძიმეს კანონი დაადგენს. მაგრამ მრავალ სხვა კითხვას შორის არის კიდევ ერთი, რომელიც პასუხს მოითხოვს, სახელდობრ: ტუღუშმა და სანაიამ, რომლებიც სამუშაოზე უნდა ყოფილიყვნენ, მიატოვეს თავიანთი სამსახური და მოსკოვში აღმოჩნდნენ. საკითხავია, იცოდნენ თუ არა მათმა ხელმძღვანელებმა ამ ვოიაჟის ამბავი? (საქინფორმი).

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲝᲡ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ გამოგზავნილ პასუხში ნათქვამია: გაზეთ „კომუნისტის“ 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „ჯაბოროვა წყალტუბო-ქუთაისის გზატკეცილზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ.

დადგენილა, რომ სოფელ რიონში მცხოვრებმა სიმონ ნოდარის ძე თუთბერიძემ, რომელიც უმინდობილობად მართავდა ოჯახის კუთვნილ მანქანას, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები და სოფელ გუმბრინის ტერიტორიაზე მოახდინა ავტოავარია — შეეჯახა შემხვედრ ავტომანქანას. ავარიის შედეგად 8 კაცი დაიღუპა, ხოლო 2 დახახჩრდა.

საყურადღებოა, რომ ავარია მოხდა გზებზე მოძრაობის წესების ერთად რამდენიმე მუხლის დარღვევის შედეგად. მძღოლმა ს. თუთბერიძემ არ გითვალისწინა მოძრაობის ინტენსიურობა, ატმოსფერული პირობები და მანქანა მიაყავდა გადაკარბებული სიჩქარით, ტაქსის მანქანისთვის გადასწრების წინ არ დარწმუნდა, რომ მოძრაობის ზოლი, რომელზედაც ცდილობდა გასვლას, თავისუფალი იყო საკმაო მანძილზე და ამ მანევრით არ შეუქმნიდა დაბრკოლებას სხვებს. ამის შედეგად გადავიდა შემხვედრი ტრანსპორტის მოძრაობის ზოლზე, რომელზეც, დაინახა რა მოახლოებული სატვირთო მანქანა, ავარიის თავიდან აცილების მიზნით უმატა სიჩქარეს, მთლიანად გადავიდა გზის მარცხენა კიდეზე და შეეჯახა შემხვედრ მანქანას.

ამჟამად გამოძიება დამთავრებულია. ს. თუთბერიძე მიეცემოდა ხისლლის სამართლის პასუხისგებაში. ამასთან დამნაშავის მამას — ნოდარ თუთბერიძეს, რომელმაც უმინდობილობად მისცა მანქანა შვილს, ჩამოერთვა მართ